იურიდიული დახმარების სამსახური

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N140ა,
0112 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 77 „22" აგვისტო" 2020 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მხარდამჭერთა ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების, სამსახურის სტრატეგიის დამტკიცებისა და კვლევის განხორციელების შესახებ იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N75 გადაწყვეტილების შესაბამისად, დამტკიცდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მხარდამჭერთა ჯგუფის დებულება, დანართი N1-ის შესაბამისად.
2. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე: რამაზ ჩინჩალაძე

საბჭოს წევრები:

ზაზა ხარებავა

ბექა ძამაშვილი

პავლე აბაიაძე

ესმა ნორაკია

ირაკლი გვარამაძე

სოფო ჩაჩავა

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

მხარდამჭერთა ჯგუფის დებულება

1. მხარდამჭერთა ჯგუფის დებულების მიზანი

მხარდამჭერთა ჯგუფის დებულება განსაზღვრავს მხარდამჭერთა ჯგუფის ფორმირების, მხარდამჭერთა ჯგუფისათვის მიმართვისა და ჯგუფის მიერ რეკომენდაციის გაცემის წესსა და პროცედურებს.

2. მხარდამჭერთა ჯგუფის საქმიანობის პრინციპები

მხარდამჭერთა ჯგუფის საქმიანობის პრინციპებია:

ა) დამოუკიდებლობა,
ბ) მიუკერძოებლობა,
გ) კეთილსინდისიერება,
დ) საზოგადოებრივი ადვოკატის დამოუკიდებლობისადმი პატივისცემა;
ე) ადვოკატისა და კლიენტის კონფიდენციალობის პატივისცემა;

3. მხარდამჭერთა ჯგუფი და მისი შემადგენლობა

3.1. მხარდამჭერთა ჯგუფი არის სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის (შემდგომში „სამსახურის“) საზოგადოებრივი ადვოკატებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც საზოგადოებრივი ადვოკატის (შემდგომში „ადვოკატის“) მიმართვის შემთხვევაში, ახორციელებს ადვოკატის მხარდაჭერას სამართლებრივ საკითხებზე სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებთან მიმართებით.

3.2. მხარდამჭერთა ჯგუფი იქმნება 6 მიმართულებით:

ა) სამოქალაქო სამართლის,
ბ) ადმინისტრაციული სამართლის,
გ) სისხლის სამართლის,
დ) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის,
ე) არასრულწლოვანთა,
ვ) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი საქმეების მიმართულებით.

3.3. მხარდამჭერთა ჯგუფი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული მიმართულებით, ასევე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, არასრულწლოვანთა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯად საქმეების მიმართულებით შედგება არანაკლებ 2 ადვოკატისგან, ხოლო სისხლის სამართლის მიმართულებით - არანაკლებ 5 ადვოკატისგან.

3.4. არასრულწლოვანთა მიმართულებით მხარდამჭერთა ჯგუფი შედგება ბავშვის უფლებებში (სამოქალაქო) სპეციალიზაციის მქონე არანაკლებ 1 და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული არანაკლებ 1 ადვოკატისაგან.

4. მხარდამჭერთა ჯგუფის ფორმირება

4.1. მხარდამჭერთა ჯგუფის წევრები (შემდგომში „მხარდამჭერი") შეირჩევიან გასაუბრების საფუძველზე, 1 წლის ვადით.

4.2. მხარდამჭერთა ჯგუფის შერჩევისათვის საკონკურსო კომისია იქმნება იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის (შემდგომში „დირექტორის") ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება საკონკურსო კომისიის წევრები, განაცხადის წარდგენის წესი და ვადა და კონკურსის ჩატარების პირობები;

4.3. მხარდამჭერთა ჯგუფის წევრების შერჩევა უნდა განხორციელდეს შესაბამისი მიმართულებით ადვოკატის კვალიფიკაციის, გამოცდილებისა ან/და პედაგოგიური თუ სხვა სახის სამეცნიერო საქმიანობის გათვალისწინებით.

4.4. მხარდამჭერთა ჯგუფის წევრების შესარჩევ კონსურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა ადვოკატს.

5. მხარდამჭერთა ჯგუფისათვის მიმართვა

5.1. მხარდამჭერთა ჯგუფისათვის მიმართვა არის ნებაყოფლობითი. ადვოკატი უფლებამოსილია მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით, სამართლებრივი

საკითხებზე მხარდაჭერისათვის მიმართოს მხარდამჭერთა ჯგუფს და მიიღოს მათი სამართლებრივი რეკომენდაცია წარდგენილ საკითხზე.

5.2. მხარდამჭერთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციას არ აქვს სავალდებულო ხასიათი და ადვოკატი უფლებამოსილია გაიზიაროს ან არ გაიზიაროს ის;

5.3. მხარდამჭერთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის ადვოკატის შიდა სამუშაო დოკუმენტი და ადვოკატს არ აქვს მისი ბენეფიციარისათვის გაცნობის ვალდებულება.

5.4. მხარდამჭერთა ჯგუფისათვის მიმართვა უნდა განხორციელდეს როგორც წესი წერილობითი ფორმით, გონივრულ ვადაში. გამონაკლის შემთხვევებში, დროულობიდან გამომდინარე, შესაძლებელია მხარდამჭერთა ჯგუფისათვის ზეპირი ფორმით მიმართვა, რომელიც შემდგომ უნდა დაოქმდეს და გაეგზავნოს მხარდამჭერთა შესაბამისი ჯგუფის წევრებს.

5.5. ადვოკატი, მხარდამჭერთა ჯგუფს მიმართავს სამართლებრივ საკითხზე რეკომენდაციის მიღებისათვის მხარდამჭერთა ჯგუფის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის/სამმართველოს საშუალებით და ამ მიზნით ინფორმაციას გადასცემს დეპერსონალიზებული ფორმით, კონკრეტული კითხვის დასმით თუ კაზუსის ფორმით.

5.6. მხარდამჭერთა ჯგუფისათვის მიმართვისას ადვოკატი ვალდებულია საქმის მიმდინარეობისა და რეკომენდაციის საჭიროებიდან გამომდინარე, მიუთითოს რეკომენდაციის გაცემის სავარაუდო თარიღი.

5.7. მხარდამჭერთა ჯგუფის წევრი უფლებამოსილია რეკომენდაციისათვის თავადაც მიმართოს მხარდამჭერთა ჯგუფს.

6. მხარდამჭერთა ჯგუფის რეკომენდაცია

6.1. მხარდამჭერთა ჯგუფის რეკომენდაცია გაიცემა შესაბამისი მიმართულების მხარდამჭერთა ჯგუფის ყველა, რამდენიმე ან ერთი წევრის/მხარდამჭერის მიერ ადვოკატის მიმართვიდან გონივრულ ვადაში. რეკომენდაცია მხარდამჭერთა ჯგუფის არასრული შემადგენლობის ან ერთი წევრის მიერ გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დროულობიდან ან სხვა ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა წევრის მიერ რეკომენდაციის გაცემა.

6.2. სამართლებრივ საკითხზე ერთიანი მიდგომის შემთხვევაში, მხარდამჭერთა ჯგუფი აყალიბებს ერთიან დასაბუთებულ რეკომენდაციას ან ერთიანი პოზიციის არარსებობის შემთხვევაში, მხარდამჭერთა ჯგუფის წევრები გასცემენ დამოუკიდებელ ინდივიდუალურ

რეკომენდაციებს. ადვოკატი, უფლებამოსილია გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს მხარდამჭერთა ერთობლივი ან დამოუკიდებელი რეკომენდაცია.

6.3. მხარდამჭერთა ჯგუფი/მხარდამჭერი, ადვოკატის მიერ წამოჭრილ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით თავის პოზიციას აყალიბებს როგორც წესი წერილობითი ფორმით, რომელსაც აქვს მხოლოდ და მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი.

6.4. თუ საკითხის დროულობიდან გამომდინარე, მხარდამჭერთა ჯგუფი გასცემს ზეპირ რეკომენდაციას, მაშინ რეკომენდაციის გაცემის შემდგომ უნდა მოხდეს მხარდამჭერთა ჯგუფის რეკომენდაციის წერილობით ჩამოყალიბება.

6.5. მხარდამჭერთა ჯგუფი/მხარდამჭერი ვალდებულია, თავისი რეკომენდაციაში მიუთითოს შესაბამის სამართლებრივ წყაროზე.

6.6. მხარდამჭერთა ჯგუფი/მხარდამჭერი ვალდებულია გაცემული რეკომენდაცია მიაწოდოს მხარდამჭერთა ჯგუფის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს/სამმართველოს, რომელიც დაუყონებლივ გადასცემს მას შესაბამის ადვოკატს.

7. მხარდამჭერთა ჯგუფის ადმინისტრირება

7.1. მხარდამჭერთა ჯგუფის ადმინისტრირების, მიმართვის გამარტივებისა და ორგანიზაციული საკითხების დროული მოწესრიგებისათვის, სამსახურის დირექტორი განსაზღვრავს მხარდამჭერთა ჯგუფის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს ან სამმართველოს.

7.2. მხარდამჭერთა ჯგუფის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი/სამმართველო უზრუნველყოფს მხარდამჭერთა ჯგუფისა და ადვოკატის ეფექტურ კომუნიკაციას, მხარდამჭერთა ჯგუფის საქმიანობისათვის საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგებას, რეკომენდაციების ბაზის ფორმირებას, მათ გამოქვეყნებასა და ადვოკატებისათვის გაცნობას.

7.3. მხარდამჭერთა ჯგუფის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი/სამმართველო უზრუნველყოფს მხარდამჭერთა ჯგუფის თანაბარ დატვირთულობას.